ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №220524

ნომერი: AR143182

თარიღი : 24.04.2012

გაცემის თარიღი : 18.06.2012

გაცნობის თარიღი : 18.06.2012

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

აკაკი წერეთლის გამზირი #112;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლევან ბაზღაძე პ/ნ 01007011831
- ხარაგაული სოლომონ მეფის ქ. N 7

ნომენკლატურა :

- I კლასი
- შენობა-ნაგებობის ფასადისა და სახურავის სარემონტო და მოპირკეთებითი სამუშაოები, როცა ხდება ფერის ან მასალის ცვლილება

რეკონსტრუქცია

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის ვებ-გვერდზე (tas.ge) თქვენი მოთხოვნა დარეგისტრირებულია არასწორი განაცხადის ველში.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში განმეორებით იქნა განხილული თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომლის პასუხად გაცნობებთ, რომ წარმოდგენილი სახით კვლავ არ მიაჩნია არქიტექტურის სამსახურს მიზანშეწონილად ფასადის რეკონსტრუქცია. ამავდროულად გაცნობებთ, რომ ფოტომონტაჟის მიხედვით თქვენს მიერ განსახორციელებელი სამუშაოები არ შეესაბამება თქვენ მიერ არჩეულ ნომენკლატურას, კერძოდ ნომენკლატურის თანახმად საკითხი ეხება "შენობა-ნაგებობის ფასადისა და სახურავის სარემონტო და მოპირკეთებითი სამუშაოები, როცა ხდება ფერის ან მასალის ცვლილება", თუმცა ფოტომონტაჟის მიხედვით ასევე ხდება ს–არეკლამო აბრების მოწყობა. ახალი განაცხადის შევსებისას ნომენკლატურაში"შენობა-ნაგებობის ფასადისა და სახურავის სარემონტო და მოპირკეთებითი სამუშაოები, როცა ხდება ფერის ან მასალის ცვლილება"–სთან ერთად ასევე აირჩიეთ "აბრებისა და რეკლამების განთავსება" . ამავდროულად გაითვალისწინეთ სამსახურს მსგავსი სახით სარეკლამო აბრების მოწყობა შესაძლებლად არ მიაჩნია. იგი საკმაოდ გადატვირთული სახის მატარებელია და ჭრელი, საჭიროა საპროექტო დავალებით განსაზღვრული აბრის მხატვრულ ვიზუალური ელფერის და გაბარიტული ზომების მეტად დახვეწილი, სადა და მსუბუქი ფორმულირების შემუშავება, ასევე აბრაზე მხოლოდ ძირითადი მანიშნებელი და არა გადატვირთული ხასიათის წარწერის განთავსება. ამასთანავე არქიტექტურის სამსახურში შემოსულ სარეკლამო აბრაზე წარწერა უნდა იყოს სახელმწიფო ენაზე,ხოლო უცხო ენაზე შესრულებული წარწერა ზომით ყველა შემთხვევაში და რაოდენობით არ უნდა აღემატებოდეს სახელმწიფო ენაზე შესრულებულ (ტრანსლიტერირებული) ფორმას, ხოლო ორენოვანი მანათობელი წარწერის შემთხვევაში, ორივე ენაზე შესრულებული (ქართული და უცხოური) წარწერები ერთნაირად უნდა იყოს განათებული.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.